



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბიზე ჟორჟ

ბიზე (Bizet) ჟორჟ (ალექსანდრ სეზარ ლეოპოლდ, ნათლობის სახელია ჟორჟი) (25. X. 1838, პარიზი, – 3. VI. 1875, ბუჟივალი, პარიზის მახლობლად), ფრანგი კომპოზიტორი.

ბ-ს შემოქმედების მთავარი სფეროა ოპერა. მას დანერგილი აქვს 20-ზე მეტი ოპერა (მრავალი დაუმთავრებელია), მ. შ. ალსანიშნავია „მარგალიტის მაძიებელი“ (1863), „პერტის მზეთუნახავი“ (უ. სკოტის რომანის მიხედვით, 1866), „ჯამილე“ (ა. მიუსეს პოემა „ნამუნას“ მიხედვით, 1871). ბ-ს შემოქმედების მწვერვალია ოპერა „კარმენი“ (პ. მერიმეს ნოველის მიხედვით, 1874), რ-იც გამოირჩევა ძლიერი დრამატიზმით, მელოდიური გამომსახველობით. ვენაში ტრიუმფული წარმატების შემდეგ კი იგი ყველაზე პოპულარული გახდა მსოფლიოში. ბ-ს შექმნილი აქვს აგრეთვე სიმფ. კანტატა „ვასკო და გამა“ (1859–60), სიმფონია „რომი“ (1871), საფორტეპიანო პიესები, რომანსები, სიმღერები. ა. დოდეს ნაწარმოების მიხედვით შექმნილი სიუიტა (1872) შესულია სიმფ. მუსიკის ოქროს ფონდში.

თბილისში ოპერა „კარმენის“ დადგმა პირველად განხორციელდა 1885–86 სეზონში. „მარგალიტის მაძიებლები“ პირველად დაიდგა 1889–90 სეზონში. დიდმა ქართველმა მომღერალმა ვ. სარაჯიშვილმა შექმნა ხოზესა („კარმენი“) და ნადირის („მარგალიტის მაძიებლები“) დაუვინყარი სახეები. თბილისის საოპერო თეატრის მათიანეში დარჩა ვ. დავიდოვასა და ლ. გოცირიძის (კარმენი), ს. ინაშვილისა, და დ. გამრეკელის (ესკამილიო), დ. და ნ. ანდლულაძეების, ზ. ანჯაფარიძის, ზ. სოტკილაშვილის (ხოზე) და სხვათა მიერ ბ-ს ოპერებში შექმნილი ვოკალურ-სცენური სახეები. ბ-ს სიმფონიის მუსიკაზე ჯ. ბალანჩინმა (გ. ბალანჩივაძემ) დადგა ბალეტი „ბროლის სასახლე“.

